საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 1 1921 წ. პარასკევი მარტის 11

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები მიხეილ და ლიდია; დები: ივლიტორია და ალექსანდრა; ძმები: კალისტრატე, სიმონი და ნოე ჯაფარიძეები; რძალი მართამ ჯაფარიძისა და სიძე იოველ საყვარელიძე ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის სტუდენტის მათთვის დაუვიწყარის

## ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას 23-24 თებერვლის კოჯორის ბრძოლაში. გამოსვენება პარასკევს 11 მარტს 4 სა. საათზე მოსკოვის შესახვევიდან სახლი № 6. დაკრძალვა სამხედრო ტაძრის გალავანში.

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

წინადადებას აძლევს ქალაქ ტფილისის ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციებს გამოუკლებლივ, დღიდან ამისა გამოცხადებისა სამი დღის განმავლობაში, წარადგინონ ამავე კომისარიატის საინფორმაციო განყოფილებას შემდეგი ცნობები:

ა) სახელწოდება დაწესებულებათა,
ბ) რომელ ქუჩაზე იმყოფება დაწესებულება (სახლის № აღნიშვნით),
გ) გვარი იმ პირისა, რომელიც სათავეში უდგას დაწესებულებას და
დ) დაწესებულების ტელეფონის ნომერი.

კომისარიატის საქმეთა მმართველობა.

## საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატი

აცხადებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამშრომლების საყურადღებოდ, რომელნიც იგზავნებიან ქალაქ თბილისში სხვა და სხვა დავალებებით, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ისინი 3 დღის განმავლობაში არიან გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა კომისარიატში (შენობა ყოფ. კადეტთა კორპუსისა, შესავალი ევანგულოვის ქუჩით) სათანადო საბუთებით რეგისტრაციის მიზნით; ამ საბუთებს უნდა გაუკეთდეს რეგისტრაცია აგრეთვე თბილისიდან უკან გაბრუნების დღესაც. ეს წესი ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან და ჩამოდიან ქალაქ თბილისში.

სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველობა.

## ტფილისი, პარასკევი მარტის 11

ტფილისში ამუშავდა რ. წ. ჩეკას აპარატი ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ პროლეტარიატს, როდესაც ის ებრძვის დარაზმულს და გამოქნილს ბურჟუაზიას თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის დასდგას საგანგებო ორგანოების შექმნა, რომლებმაც მას მოწინააღმდეგის დამსხვრევას და ნების ყოფის განიავებას უადვილებენ. ამიტომაც ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნდა ეს დაწესებულება, რომელიც საგამომძიებლო ორგანოცაა, მსჯავრმდები და აღმასრულებელიც რუსეთში, სადაც სამოქალაქო ომმა ნაწილობრივ შინაურ ძალებზე დამყარებით, ნაწილობრივ გარეშე ძალთაგან ნასაზრდოებმა, უმაღლეს წერტილამდე მიაღწია მოწინააღმდეგის წელში გასატეხად საჭირო იყო მარტივი და მასთან მკვეთრი ორგანო.

სრულიად სხვა მდგომარეობაა თქვენში არ არის ნასახიც სამოქალაქო ომისა და მაშასადამე უადგილოა ყოველივე მისი ატრიბუტი და სხვათაშორის ჩეკაც. საქართველოში არაა ბურჟუაზია, როგორც ჩამოყალიბებული კლასი, არაა საბიუროკრატიო ინტელიგენცია და მაშასადამე არაა ძალა, რომელიც შეგნებულად წინ აღუდგეს მშრომელთა ბატონობას, მაშასადამე არავითარი გასამართლებელი საბუთი, არავითარი საფუძველი არაა ისეთი დაწესებულებას შექმნისათვის, რომელიც სულ სხვა პირობებში წარმოიშვა. თუ ჩეკა სამხედრო ოპერაციებთანაა დაკავშირებული და სამხედრო აპარატის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის წარმავალი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა. დღევანდელს რთულ პირობებშიც საჭიროა საგანგებო საგამომძიებლო ორგანო. ამის საჭიროება ჯერ კიდევ დიდხანს იქნება, მაგრამ კულტურულს და რევოლუციონურს შეგნებას სრულიად არ შეუძლია შეურიგდეს იმ გარემოებას, რომ არა სამოქალაქო ომის პირობებში ერთი და იგივე ორგანო საგამომძიებელიც იყოს, მსჯავრის დამდებიც და განაჩენის აღმასრულებელიც. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის კომისია, რომელიც ეხლა სასამართლოს რეორგანიზაციის საკითხს მუშაობს, ჩეკას გარდაქმნის საგანგებო საგამომძიებლო ორგანოდ როგორც ერთ-ერთ მომენტად რევოლუციონურ სამსჯავროისა. უკანასკნელს, ცხადია, საჯარო ხასიათი ექნება, ჩეკას გამოძიება ყველას თვალწინ გაივლის და ფართო მასას ეცოდინება, რომ ესა თუ ის განაჩენი ჯეროვანს საფუძველს ემყარება.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენში, სადაც არაა სამოქალაქო ომი, ჩეკა „ზასტენკის“ ხასიათს მიიღებდა ქართველი ხალხის ბუნებრივი შეგნება მას ვერ შეურიგდება, ის უფლებრივ, შეგნება რომელიც არაა აღზრდილი ვასილი მესამის და იოანე მრისხანე ტრადიციაზე.

## ცრემლები

ოთხშაბათს საქართველოს დედა ქალაქმა სამუდამოდ ჩაიკონა საქართველოს გმირი შვილები. ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ ასეთ გლოვისა ზარს, ქვეყნის ტირილს და ვაებას.

უნებურად, შეურყვნელად, მოუმზადებლად, თვითონ ხალხის სტიქიამ ჩვენს ძვირფას კუბოებს ხელი ჩასჭიდა და გამოიტანა რუსთაველის პროსპექტზე.

ტიროდა ყველა, ტიროდა მოხუცი, ახალგაზრდა, ყველა, მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა.

— რა ატირებდა ამ ხალხს?

განა საქართველოს დაღუპვა? განა გმირების დასაფლავება ნიშანი იყო საქართველოს დასაფლავებისა? არა! ნუ ფიქრობს ნურავინ, რომ შოთას, დიმიტრის, ილიას და აკაკის საქართველო დაიღუპა, ნურავინ ფიქრობს, რომ ჩვენი ყვავ-ყორნების ჩხავილი და დემონიური ხითხითი წელში მოდრეკს საქართველოს.

არა, ვინც ნახა ოთხშაბათის ტფილისი მან კარგად იცის თუ რა არის ტფილისი. ქართველი ხალხის ტირილი მთელი ტფილისის ტირილია, ტფილისის ტირილი საქართველოს ტირილია.

ამ ცრემლებში ყველა კარგად დაინახავდა თუ რა სურს ქართველ ხალხს, ის უდიდესი გლოვის პროცესია ხომ მენშევიკების ატრიბუტებისათვის არ ყოფილა მოწყობილი რომელიმე პოლიტიკურ მერკანტილიზმისათვის, ეს უდიდესი სტიქია იმას ამტკიცებს მხოლოდ რომ ქართველ ხალხს ერთ წუთსაც არ წარმოუდგენია უსახელო საქართველო და არც ისა, რომ წითლების ქუდში გახვეული ვიღაც ჯარისკაცი სპეკულიანტი და შავრაზმელ ზიზღით და კრულვით იხსენებს რაც წმიდათა წმიდა ყველი ქართველისათვის იქნება ის წითელი, ყვითელი თუ ყავისფერი შავი—საქართველოს თავისუფლება.

ჩვენს ძვირფას ხალხთან ერთად მგლოვიარეებმა მოიტანეს ცხარე ცრემლები მოწამე გმირთა ცხედართა წინაშე. განა ერთს წუთსაც დაივიწყა, რომ „შინა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირისაგო“?—რასაკვირველია არა, მაგრამ ვსტიროდი მეც, ვსტიროდით ყველა და ჩვენს ცრემლებს სწმენდა ის ფაქტი, რომ ჩვენთან ერთად სტიროდა ამავე დროს ნამდვილი წითლებიც, რომელნიც დღეს ქართლს, კახეთს და ჩვენს დედა ქალაქს განაგებენ.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ სამშობლოს და ერის თავისუფლება მხოლოდ სოციალისტურ ხანაშია ნამდვილი თავისუფლება, რომ კაპიტალიზმი ამ თავისუფლების ნამდვილივე სამარეა და ისიც გვწამდა, რომ სოციალისტებისათვის ერის თავისუფლება პიტალო სიტყვები კი არ არის ან ის ოქროს კბილები, რომლებსაც ასე ხელოვნურად აწყობენ და ალაგებენ ექიმები ნამდვილ კბილის ადგილს, არამედ გარკვეული, მტკიცე, ურყევი ჭეშმარიტება, რომელსაც ისე უნდა გამოვჰყვეთ, როგორც ფოლადსა.

დიახ, დღეს ბევრს გონია, რომ საქართველოს სამარე ეთხრება: ეს არის საზიზღარი ტყუილი ყვითელი და რუხი ფერის ხალხის მოგონილი, ისინიც კარგად ხედავენ, რომ არც ერთი მახარაძე, არც ერთი ორჯონიკიძე, არც ერთი ელიავა, კვირკველია და სხვები შავ მიწას იმისათვის არ გასთხრიან, რომ შიგ მოათავსონ, მრავალ ძვირფას კულტურის აღმზრდელი ბრწყინვალე საქართველო.

დღეს ყველა დაინახავს, რომ სოციალისტური საქართველო გაცილებით სისტემატიურად და მტკიცეთ გაატარებს საღი, ხალხოსნური ნაციონალიზმის ატრიბუტებს ცხოვრებაში და ეს პოლიტიკა ამავე დროს საწინდარი იქნება იმისა, რომ შოვინიზმს და ზოოლოგიას ან გასავალი არ ექნება საქართველოში, რასაც საზოგადოდ, დიდი ადგილი აქვს ნაციონალურს მოძრაობაში.

და ყველაფერი ეს მე ცრემლს მიწმენდა და მინდოდა მეთქვა ჩვენი ცრემლით მოსულე ქვეყნისათვის დიდი ილიას სიტყვები, მხოლოდ მცირე, მაგრამ არსებითი შესწორებით—ჩემო ტურფა ქვეყანავ, რისთვის მოგიწყენია, აწმყოც არა გვიღალატებს, მომავალიც შენია.

ამისათვის იყო ვსტიროდი ხალხთან ერთად, მაგრამ გონებას სრულიადაც არ სურდა ეს ტირილი, ვსტიროდი, მაგრამ ის ყოველთვის მახსოვდა, რომ ქართველი კაცის ბუნება არც ტირილია, არც წყლის მოგრეხა, არც შიში და ძრწოლა ვისიმე წინაშე.

თუ გვინახავთ ქართველს ისეთს, როგორიც ის არასოდეს ყოფილა. სიცილი, ლხინი, ბრძოლა, იმედი, გახსნილი და ნათელი შუბლი, პური, ღვინო და მოსილი იყო მუდამ საქართველოს სიცოცხლის ურყევი ხასიათი და მაშინ, როცა ჩვენს ძვირფას ძმებს ვაბარებთ სამარადისო ბინას ჩვენ ფიცი დავდეთ ცრემლით დახოცილ ყოველმა ქართველმა ვიბრძოლოთ ყველამ ერთად, ერთსულოვნად, რომ ქართველი კაცი მხარეზე და ბეჭებზე ვერავინ შესძლოს მძიმე კურთხევის აკიდება მრავალი ვიგინდარის მალაყისათვის.

თედო ღლონტი.

## უცხოეთი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის კრებაზე.

მარტის 9 განათლების სამინისტროს შენობაში შესდგა კრება ყოფ. ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ლიკვიდაციის საკითხის გამო. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი, დეკანები კორნ. კეკელიძე და ალ. ალადაშვილი, ანდრ. რაზმაძე და შალვა ნუცუბიძე. ყოფ. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტიდან პროფ. როსტოვცევი, არუთინოვი, სოლომონოვი, გორდეევი და სხვ. იყვნენ აგრეთვე ყოფ. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლნი.

კრებას დაესწრო რევკომის წარმომადგენელი მ. ორახელაშვილი. კრება გახსნა სასწავლო კოლეგიის წევრმა ალ. წერეთელმა. კრებას მოხსენდა ყოფ. ამიერ კავკასიის პროფესორთა ერთი ერთი ჯგუფის მემორანდუმის შინაარსი; რის შემდეგაც გაიმართა კამათი ამიერ კავკასიის ყოფ. უნივერსიტეტის განახლების შესახებ.

რევკომის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალ მთავრობას არ აქვს განზრახული შეცვალოს არსებული მდგომარეობა, რადგან ეს შუა სემესტრში უდროოდაც მიაჩნია და გარდა ამისა არ აქვს ჯერ ჯერობით შექმნილი ის აპარატი, რომელსაც ასეთი ცვლილებებს უმტკივნეულოდ ჩაატარებდა. თუ ყოფილი ამ. კავკ. უნივერსიტ. სტუდენტები დღეს-დღეობით მეცადინეობენ და მათ ამის საშუალება აქვთ, არსებული მდგომარეობა უნდა დარჩეს მანამდე, ვიდრე მომავალ სასწავლო წლიდან არ მოხდება არსებითი შეცვლა მთელი სასწავლო სისტემისა. მაშინაც სთქვა რევკომის წარმომადგენელმა, იქნება ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის მიზან შეწონილად მოწყობის შესახებ ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი ავტორიტეტული აზრითო. ამის შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, ალ. ალადაშვილმა და შ. ნუცუბიძემ ამიერ კავკასიის უნივ. პროფესორთანაც ბევრმა ილაპარაკა, მაგრამ მათ არგუმენტაციამ და მეჯლისობამ ყველაზე უწყინოვის, გონებრივი სისაწყლის და დაუფარავ ცბიერი ზრახვების შთაბეჭდილება მოახდინა. ყოფილი ამიერ-კავკასიის პროფესორთა უმწეობას ვერ უშველის ვერც შეიარაღებულმა სტუდენტებმა, ორ სამ ადგილზე წითელ ნიშნებით შეაჭურვებულებმა. მათი იმედი — ორატორი სტუდენტი ორჯელ იქმნა შეჩერებული რევკომის წარმომადგენლის მიერ.

უნდა ითქვას, რომ სიტყვების მოსმენისას რევკომის წარმომადგენელმა მყისვე აუღო ალღო ყოფ. ამ. კავკ. უნივ. პროფესორთა კონტრ რევოლიუციონურ ზრახვებს და მათ ყური აუწია.

დადგენილ იქნა დარჩეს არსებული მდგომარეობა მომავალ სასწავლო წლამდე. რევკომის წარმომადგენელმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებზე, რომ ახალი მთავრობა ეროვნულ ნიადაგზე სდგას.

## კოლონიზაცია საქართველოში

გაზეთ სოციალისტ ფედერალისტის № 6 ში მოთავსებულია ამხ. შალვა ელიავას სიტყვა, თქმული ხელოვნების მუშაკებისადმი. ხსენებულ სიტყვაში, გაზეთის გადმოცემით, ნათქვამია შემდეგი წინადადება. „დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიზაციასა და ძალ-მომრეობას“. გაზეთის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თუ მოყვანილი სიტყვები მართლა ითქვა, უეჭველია, სიტყვა „კოლონიზაცია“ ნათქვამია იმ მნიშვნელობით, როგორათაც ის მიღებულია იმპერიალისტური საქართველო უეჭველად უფრო ფართოთ აწარმოებს, ვიდრე ეს იყო წარმოებული დემოკრატიულ საქართველოში. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ სოციალისტურ საბჭოთა რუსეთის აგრარული პრაქტიკა. სასოფლო-სამეურნეო კულტურის ასაღორძინებლად საბჭოთა რუსეთმა ჩაასახლა თავისუფალ ადგილებში თვით უცხოეთიდან (გერმანიიდან) მოწვეული კულტურული გადმოსახლებულები, რომ ასეთი კულტურული ელემენტები საბჭოთა რუსეთს ყოლოდა საკუთარ ტერიტორიაზე და ისიც უმიწაწყლოთ, ცხადია; მათ გადასახლებას თავისუფალ მიწებზე გაცილებით უფრო მეტის ენერგიით გაატარებდა. ამ მხრივ საქართველო იმყოფება სრულიად განსაკუთრებულს პირობებში. საქართველოში არის რაიონები, სადაც მოსახლეობა უფრო მჭიდროა, ვიდრე მთელს ევროპაში უმჭიდროვესათ დასახლებულ ბელგიაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის გამოსადეგ მიწების სივრცის მიხედვით. ხოლო სასოფლო სამეურნეო კულტურა ამ მჭიდროთ დასახლებულ რაიონებისა, თუ მთლად რაციონალური არაა, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე რესპუბლიკის სხვა რაიონებში. ამავე საქართველოში არის რაიონები, სადაც მოიპოვება საკმაო თავისუფალი მიწის ფონდი, რომელთა ოდნავ მაინც ინტენსიურათ დამუშავება შეუძლებელია ადგილობრივ მცხოვრებთა ფიზიკურ და კულტურულ ძალებით.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში სოციალისტური საქართველო ენერგიულ ზომებს მიიღებს ეკონომიურ ფრონტზე ბრძოლის მოსაგებათ, არა მარტო ისეთ მიწების უმიწაწყლო მეურნეთა კოლონიზაციით, არამედ, თუ საჭირო იქნება, მათი (მიწების) მობილიზაციის წესით გაწვეულ მუშათა რაზმების საშუალებით დამუშავებით.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საახალშენო განყოფილების გამგის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი ვ. ახათიანი.

# ახალი ამბები

— სამშვიდობო დელეგაციის შესახებ. ოთხშაბათს, მარტის 9-ს ტფილისში დაბრუნდა საქ. დემოკრატიულ რესპუბლ. მთავრობასთან მოსალაპარაკებლად წასული სამშვიდობო დელეგაცია, რომელმაც ვერ მოახერხა ბრძოლის ხაზზე გადასვლა. ხუთშაბათს დელეგაცია ისევ გაემგზავრა იმავე მიზნებით სასწრაფო მატარებლით. დელეგაციაში შევიდა მენშევიკების მხრით კ. ანდრონიკაშვილი.

# გრუპკავროსტას ბიულეტენი № 12

**მოსკოვის აზრი საქართველოში მომხდარ ამბის შესახებ**

მე სრულიად გადაჭრით უნდა ვსთქვა, რომ მოსკოვი ყოველთვის წინააღმდეგი იყო რაიმე კონფლიქტებისა საქართველოსთან. უფრო მეტი: რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. კიროვის შეცვლა ამხ. შეინმანით საქართველოში აშკარა დემონსტრაცია იყო: უნდა ჩამოგვეცლია ქართულ დიპლომატიისაგან ყოველივე ელფერი პოლიტიკისა და დაუყონებლივ გაგვეწია საქართველოსათვის რეალური დახმარება. აქეთ იყო გამოგზავნილი მარშრუტები ნავთით, ხოლო ამხ. შეინმანმა აღძრა საკითხი საქართველოსათვის ფინანსიური დახმარებისა ოქროთი.

მაშ, რამ გამოიწვია მაინც წითელი ჯარების წამოსვლა ქ. ტფილისზე არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს, რა განწყობილება ჰქონდა ყუბანის კონტრ-რევოლიუციას ქართველ მენშევიკებთან. ეს სულიერი ალიანსი დაიბადა ჯერ ისევ 1918 წელს. გავიხსენოთ გენერალ მაზნიევის მოძრაობა მოხალისეთა ოფიცრებით სოჭ-ტუაპსის რაიონში; გავიხსენოთ შესანიშნავი სიტყვები ყოფილ მინისტრის გეგეჭკორისა, თქმული ეკატერინოდარის კონფერენციაზე გენერალ ალექსეევთან და ყუბანის რადასთან 1918 წელს, რომ „მენშევიკები ურტყამენ ერთ წერტილში ალექსეევთან" ე. ი. ბოლშევიკებს; გავიხსენოთ აგრეთვე დახვევა ყუბანისა და თერგის კონტრ-რევოლიუციონერებისა საქართველოსკენ და როგორ მიიღეს იგინი მენშევიკებმა; გავიხსენოთ სრულიად ლეგალური არსებობა ყოველგვარ „დაღესტნისა და განთავისუფლების" კომიტეტებისა. სომხეთისა, აზერბეიჯანისა, ყუბანისა, თერგისა, ეგრედწოდებული მთიელთა მთავრობა მისი დაშლაშით ახმეტ ცალიკოვით: გავიხსენოთ უკანასკნელი ამბები დაღესტანში აჯანყება, გამოწვეული ინგლის-საფრანგეთის ოქროთი ამ შამილის შვილი შვილის მიერ, რომელიც გაემგზავრა ტფილისიდან ლაგოდეხში: გავიხსენოთ შესანიშნავი ლაგოდეხის შტაბი დაარსებული დაღესტანში აჯანყებისათვის: დასასრულ გავიხსენოთ ცნობილი მოწოდება ყუბანისა და თერგის განთავისუფლებისა, გამოცემული ტფილისში მენშევიკების მთავრობის უკანასკნელ დღეებში, და მაშინ ცხადი შეიქნება რას, წარმოადგენდა მენშევიკური ტფილისი და მენშევიკური საქართველო ყველა ჯურის რევოლიუციონერებისათვის საქართველო იყო ტყვე ანტანტისა იყო გარდაქმნილი მთლად კონტრ-რევოლიუციის ბაზათ კავკასიაში საბჭოთა მთავრობის ასაფეთქებლად.

ასეთმა მდგომარეობამ ჩვენ კავკასიის კომუნისტები დაგვარწმუნა, რომ აუცილებლად საჭიროა საქართველოს გარდაქმნა საბჭოთა საქართველოთ, რათა უზრუნველ იქმნას არსებობა კავკასიის მრავალ მილიონ მცხოვრებთა მასისა. მით უმეტეს აღ, რომ ეს მთლად ეთანხმება ქართველ კომუნისტთა მისწრაფებას, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მოსპობა საქართველოში ბურჟუაზიულ წეს-წყობილების, რადიკალური გადაწყვეტა საკითხისა, გადაცემა მთელი მიწისა გლეხებისადმი.

საქართველოში ასე მოხდა ეს ამბები: ლორის გლეხობა აჯანყდა მენშევიკების საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. 3—4 დღის განმავლობაში არა თუ ნეიტრალური ზონა, არამედ ბორჩალოს მთელი მაზრა განთავისუფლებულ იქმნა მენშევიკების ჯარისაგან.

მაგრამ ნოე ჟორდანიას მთავრობამ, მიუხედავად ამხ. შეინმანისა და ამხ. ჩიჩერინის წინადადებისა გადაწყვეტილი ყოფილიყო დავა სომხეთთან ნეიტრალურ ზონის შესახებ საბჭოთა რუსეთის შუამდგომლობით, გადასწყვიტა ბოლო მოეღო აჯანყებულთათვის ცეცხლითა და მახვილით.

აშკარაა, რასაკვირველია, რომ გვერდით მდგომ წითელ არმიას არ შეეძლო გულგრილად ეცქირნა, როგორ დახვრეტავდნენ მენშევიკები საბჭოთა ძალა-ფულებისთვის აჯანყებულ გლეხებს. ცეცხლის ალში გახვეული სოფლები ვორონცოვკა და პრივოლნოე შეიქმნენ იმ სიგნალად, რომელიც წითელ არმიის გლეხებს მოუწოდებდა აჯანყებულთა საშველად... ნოე ჟორდანია ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში დამფუძნებელ კრებაში გაუცისხდა სომხებს და ჯვაროსნულ ომისათვის მოუწოდებდა მათ წინაამდეგ, მაგრამ იგივე ნოე ჟორდანია და მინისტრი საბახტარაშვილი ქათინაურებს უგზავნიდა, მიესალმებოდა დაშნაკელ ვრაც ანს, რომელიც სათავეში ჩაუდგა ეგრედ წოდებულ სამშობლოს გადარჩენის კომიტეტს ერივანში და ჟორდანიამ სთხოვა შურგიდან შემოეტია ბოლშევიკებისათვის. ხოლო ვრაციანი პირველ თავის მიმართვაში, რომელშიაც იგი მენშევიკებს თავიანთ გმირობას აცნობებდა, სთხოვდა ტანისამოსს და სურსათს. ამნაირად ჟორდანიასთვის ყველა სომეხი ერთი იარაა. საბჭოთა სომხეთი ნ. ჟორდანიასთვის მიუღებელია და იგი ბლოკადას უცხადებს მას, არ უშვებს პურით დატვირთულ ვაგონებს, ... შიმშილისაგან დაიხოცნენ ბავშვები, ... მას არ შეაწუხებს. ხოლო ვრაციანის ... მხეთი, სომხეთი დაშნაკელების, ჟორდა...იასთვის მოკავშირეა.

აი მოკლედ ყველა ის მიზეზები, რომელთაც საქართველოში ეს ამბები გამოიწვიეს.

ტყუილათ დაიწყებენ ყვირილს მენშევიკების მოსპობაზე. პეშმარიტად, არავის განუზრახავს და არც ფიქრობს ქართველ მუშების და მასების დამოუკიდებლობას დაემუქროს ყოველ მიზეზის გარეშე და გადაჭრით ვიცავთ მუშათა გლეხთა დამოუკიდებელ საქართველოსი არას დროს საქართველოს არ ჰქონია ესეთი შესაძლებლობაა ნაციონალურ ძალების და კულტურის განვითარებისა როგორც ეხლა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მუშათა და გლეხთა რუსეთი არა ვითარ კოლონიზატორულ მიზნებს არ ისახავდა და არ ისახავს არც საქართველოში და არც სხვაგან სადმე.

დავასკვნი: წითელი ლაშქარი მოვიდა აქ, რომ: 1. მოსპოს აქ კონტრ-რევოლიუციის ბუდე და სადგომი სახლის ყოველგვარი სახის თეთრგვარდიელთა ძაწნხწალებისა, 2. მოსპოს ძალა-უფლება ბურჟუაზიისა საქართველოში, რომელიც სდიდა საქართველოს ანტანტის ბრმა იარაღად, 3. გადასცეს ყველა ფაბრიკა და ქარხნები მუშებს, 4. მთელი მიწა გლეხებს გადასცეს, 5. ანტანტის მორჩილ საქართველოს მაგიერ სრული საშუალება მისცეს საქართველოს მუშებსა და გლეხებს შექმნან მართლა დამოუკიდებელი და თავისუფალი მუშათა და გლეხთა საქართველო.

**მენშევიკებთან შეთანხმების თაობაზე.**

ჩვენ სავსებით წინააღმდეგი ვართ კიდევ ომის განგრძობისა. თუ იგი სავსებით უაზროა მენშევიკების მთავრობისათვის, საქართველოს მცხოვრებთათვის აუცილებლად საძნელოა, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც მინდვრის მუშაობა იწყება. ამასთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ომის გაგრძელება სახიფათო მდგომარეობას უქადის ქვეყანას. თუ მენშევიკები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით საქართველოს მასსის ფიზიკურად გადარჩენის მომხრენი არიან, უნდა დაუყონებლივ შესწყვიტონ უსარგებლო, უმიზნო, ყოველივე პერსპექტივის გარეშე მყოფი, ომის გაგრძელება და მიიღონ საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინადადება: დაუყონებლივი ლიკვიდაცია ფრონტებისა და საბჭოთა წესწყობილების აღიარება აწინდელის საფუძველზე.

**ქართველ კომუნისტების ტაქტიკის შესახებ.**

ქართველ კომუნისტებს უხდებათ მოქმედება თავისებურ სოციალურსა და საერთაშორისო ვითარებაში. ეს კი მოითხოვს ჩვენგან თავისებურ და მოქნილ პოლიტიკას. ამხ. ლენინის სიტყვით, რომ ვსთქვათ „არა უბრალო რუსულ შაბლონს", არამედ ადგილობრივ ცხოვრების და ზნე-ჩვეულების პირობებთან შეგუებას. ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება საბჭოთა აღმაშენებლობისა კავკასიაში, მთიელთა შორის, სადაც სამრეწველო პროლეტარიატი სრულებით არ არსებობს და სადაც თითქოს არავითარი ნიადაგი არ მოიპოვება საბჭოთა ძალა-უფლებისათვის. ასე მსჯელობდნენ თავის დროზე მენშევიკები და ესერები. მაგრამ ორი წლის გამოცდილებამ ბრწყინვალედ გაამართლა საბჭოთა ძალა-უფლების ცხოველ-მყოფელობა მთის მცხოვრებთა შორის. თუ საბჭოთა სისტემით ძალა უფლება პეტერში დაჩაგრულ მუშათა მასას გადაეცა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა სისტემით ეს ძალა-უფლება პოლიტიკურად და ეკონომიურად დაჩაგრულ მთიელთა მასას მიენიჭა. უეჭველია, რომ იქ არ არის სწორედ ის, რაც მოსკოვში და პეტერშია. ასევეა საქართველოში საბჭოთა სისტემის ცხოვრებაში გატარებისას აქ, საჭირო იქნება ადგილობრივ პირობებთან შეგუება, ესა თუ ის გადახვევა, რომელიც ნაჩვენებია. ამხ. ლენინის ტელეგრამაში, მაგრამ ძირითადს ჩვენ მტკიცეთ გავატარებთ ხოლმე: 1) ძალა-უფლების ჩამოვაშორებთ მთელ არამშრომელ ელემენტს და მოუსპობთ, როგორც აქტიურ ისე პასიურ საარჩევნო უფლებას, 2) სრულიად გავაუქმებთ კაპიტალისტურ საკუთრებასა და მთელი მიწას სრულიად გადავცემთ გლეხებს.

**ქართველი სამხედრო ტყვეებს.**

ქართველ სამხედრო ტყვეებს უშვებენ სახლებში. ერთ აშკარა დამტკიცებას იმისთვის თუ ჩვენ როგორ ვარჩევთ დამნაშავე მთავრობათა პოლიტიკას მშრომელთა ნამდვილ ინტერესებისაგან, წარმოადგენს ყოფილ ქართულ არმიის ათასი ტყვის ბედი, რომლებიც დავიჭირეთ ჩვენ უკანასკნელ ბრძოლებში. ისინი გაგზავნილ იქნენ ბაქოში არ განიცდიდნენ სრულიად არავითარს შევიწროებას, ყველანი იყვნენ დატოვებულნი თავისუფლად და ამ დღეებში ჩამოყვანილ იქნებიან აქ და გაუშვებენ სახლებში. გაცემული იყო ბრძანება არა თუ არ შევიწროვებინათ ტყვეები, არამედ აღმოეჩინა მათთვის ყოველგვარი დახმარება. ყველა ისინი გადაყვანილ იქმნენ წითელარმიელთა მდგომარეობაზე. ... ჰქონდათ თან. იმან, რაც ტყვეებმა ნახეს ბაქოში გზაში, გაანცვიფრა მათი გონება, რომელიც უკიდურეს ხარისხამდე იყო დაბურული მენშევიკური პროვოკაციით. ჩვენი წამოსვლის წინ ბაქოში შედგა საბჭოს სხდომა, რომელიც გარდაიქცა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან შეერთების და ძმობის ზეიმათ. ათასი სამხედრო ტყვე მოვიდა სხდომაზე, მათმა წარმომადგენლებმა მოგვცეს სიტყვა და დაიწყეს გულწრფელი, აღფრთოვანებული მისასალმებელი სიტყვები პროლეტარიული რევოლიუციისა, საბჭოთა რუსეთის, წითელი არმიის შესახებ.

ჩვენ ვაბრუნებთ სახლში სამი ათასს მეომარს ყოფილ მენშევიკურ არმიისას მშრომელის კერძოთან და ჩვენ ვიცით, რომ აქ დაბრუნდებიან ყველაზე საიმედო და ერთგულნი მომხრენი საბჭოთა უფლების და რევოლიუციის.

**მდგომარეობა სომხეთში.**

ერევნის დაშნაკელების გადატრიალების სულის ჩამდგმელნი უნდა ვეძიოთ ტფილისში. ამის დასამტკიცებელია ვრაციანის მიმართვა საბახტარაშვილისადმი ჯარის ტანსაცმლის და პროვიანტის თხოვნით და საბახტარაშვილის პასუხი, სადაც წინადადებას აძლევდა სომხებს დაერტყა ზვენთვის ზურგში, ერევნის გადატრიალება აიხსნება მით, რომ მისი სოვეზილ... მოხდა სამხედრო დამარცხების ნიადაგზე. დაშნაკები, რომლებმაც ისე ... გადასცეს თავიანთი უფლება კომუნისტებს. იმედოვნებდნენ ჩაეთრიათ საბჭოთა რუსეთი ოსმალეთთან ომში, მაგრამ მათი ანგარიშები არ გამართლდა. საზოგადოდ ამ საკითხის შესახებ დაშნაკელებმა რამოდენჯერმე შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა. მათ გამოსცეს თავის დროზე ბევრი მდივანი და დარწმუნებული იქნენ, რომ ოსმალეთი მოუქმედებდა ანტანტის ჩვენებით და ამიტომ მოვიდა აღსასრული კავკასიის საბჭოთა ხელის უფლებისა მაშინ თავიანთ შეცდომაში. სომხეთში შეიქმნა თავისებური მდგომარეობა. საბჭოთა ... უფალნი დაშნაკელებს არ ეხებოდნენ პირადათ იმ აზრის იყვნენ რომ მოუწოდებდნენ, რაც შეიძლება, მოთმინით და სრულიად არ შეეხებოდნენ დროისა ვრაციანის ჯგუფს რომლებიც არ ზოგავენ არც ღონეს არც საშუალებებს დაემტკიცებინათ თავიანთ ერთგულება საბჭოთა ხელის უფლებისა მიერ სომხეთში არ იყვნენ დევნილი კადეტებიც კი, და ყველა ყვირილი ვრაციასა დახვრეტის და სხვა რეპრესიების შესახებ არის მისი ცდა გაამართლოს თავის უაზრო ავანტიურა. ამავე დროს შეიარაღებული ძალა სომხეთში იყო დაშნაკელებისა, მათგან შედგენილი და აზრდილი. სომხეთის წითელი ლაშქრის შექმნა, ამ მოკლე დროში ჩვენ ვერ შევძელით, რუსეთის შეიარაღებულ ძალის შეყვანაც ვერ მოხერხდა, რადგანაც ვერ გამოვკვებავდით, ვინაიდა საქართველოს ყოფილი მთავრობა არ უშვებდა სომხეთში სურსათით სამარშრუტო მატარებლებს, და ბოლოს არ იყო მოსპობილი მსხვილი შეიარაღებული ჯგუფი ნჟდეისა რომელიც იმალებოდა ზანგეზურში.

ამ რიგად, როდესაც ტფილისში უკვე იყო დაარსებული გამათავისუფლებელი კომიტეტი სომხეთის, აზერბეიჯანის, მთიელთა რესპუბლიკის, და სხვათა, ეს იყო გეგმა მოეწყოთ საერთო აჯანყება მთელ კავკასიაში საბჭოთა უფლების წინააღმდეგ, ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო ეს გეგმა ერევანში ადვილათ განხორციელდა.

სომხეთში დღეს შემდეგი მდგომარეობა: ერევანი გარშემორტყმულია წითლებით. პირველი ნაწილი ჯარისა დაშორებულია ქალაქს 18 ვერსით და იმყოფება კამარლოს მიდამოებში. აქ მყოფ ნაწილს აქვს ორი ბრონევიკი და ტყვიისმფრქვეველის საკმაო რიცხვი მეორე ნაწილი დაბანაკებულია ქვემო ახტისა და ელენოვკის რაიონებში. მესამე ნაწილი იმყოფება კარაკლისისა და ამამლოს მიდამოებში. ეს ნაწილები წინ მიიწევენ და იმედია, სულ მოკლე ხანში მოხდება ვრაციანისა და მის ბანდების სრული ლიკვიდაცია. სამწუხარო მხოლოთ ის არის. რომ სისხლით დაცლილი სომხის ხალხი ისევ ჩაება ომის ქარცეცხლში.

**ჩრდილოეთ კავკასიაში.**

მთიულებში ამ ჟამად მდგომარეობა ფრიად მტკიცეა. დაღესტნის აჯანყება. რომელიც მოწყობილი იყო ტფილისთან, მენშევიკურ მთავრობის ჩამოგდების შემდეგს, წარმოუდგენელის სისწრაფით თანდა თან ჰქრება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟამად სრული ლიკვიდაცია მომხდარი. ცდა, რომ ჩეჩნებიც ჩაეთრიათ ამ ავანტიურაში, სრული მარცხით დამთავრდა. ჩეჩნეთში სრული სიწყნარეა. როცა ჩვენმა ჯარებმა დაიცვეს აჯანყებულების ცენტრი-ბოტლიხი, რომელიც აღებული იყო შამილის შვილის შვილის მეთაურობით. მცხოვრებლებმა გამოუგზავნეს ჩვენს ჯარებს დელეგატები, რომლებიც შეხვდნენ ჩვენ ნაწილებს ძლიერ აღფრთოვანებულათ. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს ისეთი სიმშვიდე და წესიერებაა, როგორიც არავის ახსოვს უკანასკნელ წლების განმავლობაში.

აპრილის პირველ რიცხვებში კავკასდა ტემინხაშუნაში განზრახულია მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი ყრილობები მთიულეთისა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებისა. ყაზახებიც განაგრძობენ მშვიდობიან ცხოვრებას ისინი დარწმუნდნენ თავიანთ უძლურებაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ზოგიერთ კუთხეებში თავი იჩინა პარტიზანმა სხვა და სხვამ. სუნჟენის ხაზიდან 5 სტანიცის გადასახლებამ შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი გავლენა მოახდინა მთელს კაზაკობაზე. გადასახლების პროცესი წითლების დახმარებით სრული წესრიგით ჩატარდა. ამ გარემოებამ დაარწმუნა ყაზახები საბჭოთა მთავრობის მტკიცე და ურყევ ნებისყოფაში. მეორე მხრივ ამ გარემოებით გადაიჭრა მთიელების მიწის საკითხი.

# საბჭოთა რუსეთში

**მოხალისე მასწავლებლები.**

**სამარა.** 5 მარტი (რადიო) უცოდინარობასთან მებრძოლ საოლქო კომისიის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელ კურსის განმავლობაში დაარსებულია ახლად 6 კომისია. წერა-კითხვის აღწერილ არ მცოდნეთა რიცხვი აღწევს 6.000 კაცს, მოხალისე მასწავლებლობისა ... აგრონომიული ...

**ხარკოვი.** ... სამაზრო პროფკავშირმა ... აგრონომიული სარაჯანი, რათა უფრო გაადვილდეს გლეხებს შორის სამეურნეო ცოდნის გავრცელება. მატარები ამზადებენ თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს და პლაკატებს ცოდნის ადვილათ შესათვისებლად.

**გუშუზის სამი წლის არსებობა.**

**მოსკოვი**, 8—3. (რადიო) მთავარი სამართველო სამხედრო სასწავლებლებისა იხდის თავის არსებობის სამი წლის იუბილეს. ეს დღე აუცილებლად უნდა იქმნას აღნიშნული ახალი რუსეთის მიერ. გუშუზის სარდლობის კურსები არა თუ ასუებდნენ წითლების ნაწილებს გამოცდილ სარდალ მეომრებით, არამედ მძიმე წუთებში გუშუზი ძალი შემადგენლობით გამოდიოდა საფრონტის ბათალიონების სახით. ამას გარდა გუშუზში იწრთვნებოდნენ და იწრთვნებიან საუკეთესო მეომრები და სარდლები გლეხთა წრებიდან. გუშუზის მიერ გაკეთებულია ბევრი რამ. საკომანდო კურსების, სკოლების და აკადემიების რიცხვი ერთი ათად გადიდდა. გუშუზის კურსები საუკეთესო გასაწრთვნელი და მოსამზადებელი სკოლაა პოლიტიკურებისათვის. ამ კურსებზე შემსვლელთა რიცხვებიდან 10 15 პროცენტი თუ იყო კომუნისტი; ... ეს რიცხვი იზრდებოდა 80—90 კურსები იძლევა საერთო განათლებას. მშრომელთა არტელებს. სახელოსნოებსა სუბოტნიკებსა და ლექციებში ისინი ჩაყენებულიყვნენ ცხოვრების კალაპოტში და მუშაობდნენ ჩვენ შინაურ მეურნეობის სასარგებლოდ. ქვეყანა უნდა ახსოვდეს, რომ კომუნიზმის გამარჯვებაში უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ამ სკოლებს. ეხლა, როდესაც რესპუბლიკა კვლავ განიცდის მძიმე წუთებს ეს კურსები თავის მოვალეობას სინდისიერად ასრულებენ და უზრუნველყოფენ გარეშე საფრთხისაგან.

# უცხოეთში

(გრუპკავროსტას ცნობები).

**ინგლისის მუშებმა გამარჯვება ირლანდიელებს.**

**პარიზი.** „ექსცელსიორის" ლონდონის კორესპონდენტის ცნობით ინგლისელ ზოდჩრებისა და მექანიკოსების ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა განცხადება გაუგზავნა ლოიდ-ჯორჯს: აღმასრულებელი კომიტეტი აღშფოთებით აღნიშნავს ქალ. მალში ირლანდიის მომხდარ სიმკაცრეს, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ასოციაციის ხუთი წევრი. ჩვენ მოვითხოვთ ანკეტის დანიშვნას, სადაც მონაწილეებს მიიღებენ ჩვენი ასოციაციის წარმომადგენლებიც. თუ ეს ან ირლანდიის წევრთა სიცოცხლის ხელშეუხებლობისა, ასოციაციის საბჭო გამოსცემს ბრძანებას საზოგადო გაფიცვის შესახებ. ლოიდ-ჯორჯი თავის მდივნის პირით იტყობინება, რომ ასოციაციის განცხადება გადაცემულია ირლანდიაში გადასაწყვეტათ შეხება გაფიცვას, მისი მუქარა ვერ იმოქმედებს მთავრობაზე. გაეცნო-რა ამ საკითხს ასოციაციის მთავარი მდივანი. ბრომლეი განაცხადა, რომ გაფიცვას არ ექნება პოლიტიკური ხასიათი. არამედ ის გამოხატავს ბრძოლას არსებობისათვის.

**სიკვდილით დასჯა დიდ ბრიტანეთში.**

**პარიზი** „ჟურნალი დე-დება" იუწყება, რომ ინგლისის ხელის უფალთა განკარგულებით ქალ. კორკში პირველი სიკვდილით სასჯელი სისრულეში იქმნა მოყვანილი. დასჯილ იქმნა ფერმერი იარაღის შენახვისათვის.

**ლოიდ ჯორჯის დამცველნი.**

**პარიზი.** მდგომარეობა ინგლისში ირლანდიის ამბების გამო ძლიერ გამწვავებულია: ლოიდ ჯორჯმა, თავის დაცვის მიზნით, უბრძანა შეადგინონ სპეციალურად მისთვის დამცველი რაზმი იმის გამო დაპატიმრებულია 70-ზე მეტი საეჭვო პირი, რომელთა გან უმეტესი ირლანდიელებია.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.